2 სექტემბერი, 1997 წელი

ფასი 30 თეთრი

# ფანტაზია

№ 31 (57) 1997 წ




## დააკვირდით ისრებით მითითებულ მიმართულებას

**1.** ჭრილობისა და ტკივილის დამაამებელი საშუალება; **2.** ჩვენი ზღაპრული ამირანის ასევე ზღაპრული სატრფო; **3.** ასათვისებელი და „გასატეხი“ მიწა; **4.** ცნობილი ნორვეგიელი კომპოზიტორი; **5.** სამხედრო ან საზღვაო ხომალდების სპეციფიური სარკმელი; **6.** აკაკისეული „გამზრდელის“ პერსონაჟი; **7.** ქართული თვლის სისტემის საფუძველი; **8.** ადამიანთა შორის არსებული კეთილგანწყობის სახესხვაობა. **9.** განვითარების ესა თუ ის მონაკვეთი; **10.** კუთხე, რომელიც ჰორიზონტთან მიმართებაში იქმნება; **11.** საჭიდაო ფანდი ანუ რა? **12.** ერთი პოპულარული ინდური ფილმის პერსონაჟი ქალი-ტყუპისცალი; **13.** რაიონული ცენტრი საქართველოს დასავლეთ ნაწილში; **14.** გიორგი სააკაძის მშობლიური სოფელი; **15.** ავტორი რომანებისა „ჟერმინალი“, „ნანა“ და სხვა; **16.** რომის იმპერატორი, ცნობილი თავისი ტირანობითა და ავხორცობით; **17.** შეიარაღების პროცესი; **18.** ერთი ძველთბილისური სიტყვა თავხედი ახალგაზრდის გამოსახატავად; **19.** სავანე უდაბნოში; **20.** პუშკინის შემოქმედების ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი პერსონაჟი; **21.** მთა, რომლის არსებობამაც განაპირობა თანამედროვე სპორტის ყველაზე მასობრივი თამაშების არსებობა; **22.** ავტორი რომანისა „შარლ IX-ის მეფობის ქრონიკები“ (ფრანგი); **23.** გეომეტრიული ფიგურა; **24.** პერსონაჟი ქართული ლიტერატურისა – მამისაგან მოკლული; **25.** შვედი მოჭადრაკე ქალის, გვარად კრამლინგის სახელი; **26.** ცნობილი კოლეჯი ლონდონის მახლობლად, სადაც დიდგვაროვანთა შვილები სწავლობენ; **27.** ძველი საზღვაო ხომალდების „ძრავა“; **28.** საქართველოს ერთ-ერთი ძველი სახელი; **29.** საქართველოს ავიაკომპანია; **30.** მასობრივი სახალხო არეულობა; **31.** ცნობილი კურორტი რაჭაში; **32.** გაზაფხულის ყვავილი; **33.** (ქალბატონი) ჭანკვეტაძე; **34.** ქართველი მომღერალი, პოეტი, მუსიკოსი, მხატვარი... ნუგზარი; **35.** თარგმნეთ ინგლისურად – „თოჯინა“; **36.** სიტყვა, რომელიც მსგავსების გამოსახატავად იხმარება; **37.** სიტყვა, რომელსაც ამა თუ იმ მთავრობის დამხობისას ხშირად ისმის; **38.** არცთუ დიდი ქალაქი რუსეთში, როსტოვის სიახლოვეს; **39.** რუმინეთის ფულის ერთეული. **40.** გვარი პიროვნებისა, რომელმაც პუშკინი მოკლა; **41.** საეკლესიო ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული; **42.** შვედეთის წვრილი ფული; **43.** ესტონელი საესტრადო მომღერალი; **44.** სამკურნალო საშუალების ფორმა; **45.** მუსიკალური ბგერათშეთანხმება; **46.** კლასიკური ცეკვის ილეთი; **47.** ყველაზე კარგი გამსწორებელი; **48.** ნებისმიერი მოძრაობისათვის აუცილებელი პირველწყარო; **49.** კუნძული ინდონეზიის არქიპელაგში; **50.** თავხედი,უზრდელი,ანუ ვინ? **51.** გულგრილობის არაქართული ვარიანტი; **52.** რა არის საფუძველი „ჩვენი არსობისა“? **53.** თანამედროვე რუმინეთის პრეზიდენტი. **54.** იგივეა, რაც აოხრება-აწიოკება; **55.** გასანათებელი საშუალება; **56.** ქალაქი ციმბირში; **57.** სოფელი მცხეთის რაიონში; **58.** ფრინველთა მოსაგერიებელი სიტყვა; **59.** მამრობითი სქესის შთამომავალი; **60.** ლიტერატურის გვარი; **61.** დაწინაურებული პირი; **62.** (ქალბატონი) ბრეგვაძე; **63.** (ბატონი) ლოლაშვილი; **64.** რომანი გუსტავ ფლობერისა; **65.** ინდოეთის ქალაქი; **66.** ერთ-ერთი ბალტიისპირა ქვეყნის დედაქალაქი; **67.** გერმანელ არისტოკრატთა გვარების წინსართი; **68.** რა ათქმევინებს ადამიანს „ბაზარს ცეცხლი უკიდიაო?“ **69.** მიმზიდველი ზმანება უდაბნოში; **70.** რა ეპითეტი შეიძლება მოეძებნოს კედელთან მდგომ კაცს? **71.** ცნობილი ინგლისელი ფიზიკოსი; **72.** ერთობ ცნობილი ხეობა (კარიბჭე) საქართველოს ჩრდილოეთით; **73.** მეგრელ დიდგვაროვანთა უპირველესი გვარი; **74.** რა ერქვა უნგრელ პოეტს, პეტეფის (წოდ.ბრ.)? **75.** იგივეა, რაც ხვავი თუ სიმდიდრე; **76.** ვარდისებრთა ბუჩქების ერთ-ერთი წარმომადგენელი; **77.** ქართული საცხენოსნო თამაში; **78.** რა ერქვა სომეხ პოეტს, სევაკს (წოდ.ბრ.)? **79.** აღლუმებისათვის აუცილებელი ინვენტარი; **80.** პოპულარული მრგვალი რიცხვი; **81.** რა ჰქვია ცხენის რძეს? **82.** საჭმელი ბავშვის ენაზე; **83.** კითხვითი სიტყვა; **84.** მეომარი–ფეოდალი იაპონიის სინამდვილიდან; **85.** მიმართვა გასათხოვარი ქალისადმი (ინგლ.) **86.** ციხე-სიმაგრე, სადაც მომავალმა გრაფმა მონტე-კრისტომ ჩვიდმეტი წელი გაატარა; **87.** სააღდგომო ხე; **88.** რა იმალება თეატრალური ფარდის მიღმა? **89.** ახლის აღმნიშვნელი ლათინური წინსართი; **90.** სამოცდაათიანი–ოთხმოციანი წწ. იტალიელი ფეხბურთელი **91.** სულხანსაბასეული იგავარაკების ტურა; **92.** თეატრალური კოლექტივი; **93.** ელოდები ანუ რას შვები? **94.** ქალაქი ვიეტნამში; **95.** სასროლეთი.



საკროსვორდო გაკვეთილები – მე-2 გვერდზე

მასწავლებელი და მოსწავლე (სუპერკროსვორდი) მე–4 გვერდზე

## სწავლის დროც მოსულა!!!

სულების მოგზაურობა...

ურჩხულება და...

სტრიპტიზიორი მამაკაცები

## საპწავლო ანეკდოტები

რაჭაში ფიზკულტურის მასწავლებელს სურს აუხსნას ბავშვებს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ცურვის ცოდნას და სვამს კითხვას:

— „აბა, ბოვშებო, მითხარით! წყალში ნავით რომ შეცურდეთ და იმ ნაუკას ნახვრეტი რომ გოუჩნდეს, რას იზამთ მაშინ?“

— „მე ვიტყვი, მასწავლებელო! — პასუხობს პატარა ბუხუტი — რას ვიზამ და... მეორე ნახვრეტს გოვუკეთებ, წყალი რომ ისევლე უკან გევიდეს!

❀❀❀❀❀❀❀❀❀❀

— „ისეთი რამე უნდა გამოვიგონო, რომე ეს სულელური ტელევიზია თლა მოსპოს და გაანადგუროს“ — იკვეხნის ერთხელ ბუხუტი ფიზიკის გაკვეთილზე.

— „მაინც რა უნდა გამეიგონო, შე გაჭირვებულო?!“ — ეკითხება მასწავლებელი.

— „რა და... ფერადი რადიო!“

❀❀❀❀❀❀❀❀❀❀

ბუხუტი გამოცდას აბარებს ტექნიკურ უნივერსიტეტში; უნდა, რომ ინჟინერი გამოვიდეს.

— „როგორ უნდა გვეჭიროს ჩაქუჩი, რომ თითში არ ჩავირტყათ?“ — ეკითხება გამომცდელი.

— „ორი ხელით!“ — პასუხობს ბუხუტი.

## კროსვორდი და პოეზია

### კროს-შარადები



**1.**

რუსი ქალის ეს სახელი
შევადგინოთ ორი სიტყვით:
„ო“–ს გარეშე ხაიამის
(პირად) სახელს როცა ვიტყვით,
ვთქვათ რუსულად „ულვაშები“
(თუნდ ნელი-ნელ, თუნდა მიყრით),
ბოლოს „ან“–იც დავუმატოთ
და... სათქმელზე ჯავრსაც ვიყრით.

**2.**

ბაღში რაც დგას, მას სჭირდება
მისაწერად თავში „მან“-ი,
გვერდით კიდევ ოთხი ასო
დასჭირდება ხატოვანი:
ანუ სიტყვა, რასაც სესხის
შემდეგ მიაქვს ჩვენი ჯანი
და გამოვა მომსახურე
ქალი... ალბათ, ლამაზმანი

**3.**

რუსულ „დროშას“ ბოლო ბგერას
თუ შევუცვლით ბგერა „კან“-ად,
მერე რაჭას თუ ვახსენებთ
(ნელა, დინჯად, თანისთანად)
და მის მთავარ რაიცენტრსაც
თუ მივუწერთ („დროშის“ მგვანად),
ჩვენ სუნამოს ბოთლს მივიღებთ...
წითლად ნაფერს, ანდა მწვანად.

**4.**

ჯანაშიას ლამაზ სახელს
რომ მოაკლებთ ბოლო ასოს,
მერე გვერდით მიუწერეთ
(წერა, ალბათ, ყველას ახსოვს!?)
ის, რაც ბაღში უკრეფია
(თუნდაც ვინმე) ძია ვასოს
და მიიღეთ ის, რაც თოვლზე
მგზავრობაში ერთობ ფასობს.

**5.**

ვიღებთ „ხვრეტის“ სინონიმს და
„ლან“-ს შუიდან ჩუმად ვაცლით,
მას თანხმობის ერთ-ერთ სიტყვას
გვერდზე ვუწერთ ერთი მარცვლით
და რას ვიღებთ? – გოჭს! თუმცაღა
მის გოჭობას ცოტა გავცდით,
მაგრამ იმას ღორად ქცევას
შარადისთვის ველარ ვაცლით.

**6.**

ცალთვალა დევს (ბერძენს!) უნდა
მოვჭრათ ბოლოს ასო სამი,
მერე შვეულ ნომერ სამში
სამიოდე დავყოთ წამი
და „მოჭრილ“ დევს რაჭის ცენტრი
თუ მივუდგით, როგორც სკამი,
გამოგვივა ქარი, რასაც
ვერსად აცხრობს დრო და ჟამი.

**ჯერ ამ კითხვებს გაეცით პასუხი და მერე თავად მიხვდებით, თუ რატომ არის მარჯვნივ მდებარე კროსვორდი ასეთი უჩვეულო და არასიმეტრიული...**

*1. პირველი პირის მხოლობითი რიცხვის ნაცვალსახელი.*

*2. როგორ იტყვით –„ქალწულის მსგავსი“ – ერთი სიტყვით?*

*3. სახელზმნა (უზმნისწინოდ), რომელიც გაშლა-გავრცელების სინონიმია.*

*4. არსებობს ცისფერი, არსებობს ზღვისფერი... ამავე ტონალობის ყვავილისფერი თქვით და ბოლოკიდური სახ. ბრ. –ი ნიშანი მოაშორეთ.*

*5. მაგრად, ძალუმად, ძალიან... გაიხსენეთ სხვა სინონიმიც.*

*6. აიღეთ სიტყვა „სიყვარული“ და მისგან შექმენით ზმნის პირიანი ფორმა, ანუ – პასუხი უნდა გაეცეს კითხვას „რას ვშვები“.*

*7. წყალზე რა არის ხოლმე გადებული? კი ბატონო, იცით! – ახლა მიუწერეთ მას თანდებული „-დან“ და ჩაწერეთ კროსვორდში.*

*8. ზამთრისეული ბუნებრივი ნალექი ჩასვით ნათესაობით ბრუნვაში (პასუხობს კითხვაზე – რის?)*



**.... პოდა, თუ პოეზია და გალაკტიონი არ გიყვართ, იმ ორი პოეტური სტრიქონის აღდგენა გაგიჭირდებათ, რომელსაც ქმნიან კროსვორდში ჩაშიფრული სიტყვები... გრამატიკას უნად ისოდეთ, რა თქმა უნდა!**

## სულის მოგზაურობა სხეულიდან სხეულში...

საოცრებათა მოყვარულებს შორის მოარულ ჭორად დადის ამბავი იმის შესახებ, თუ როგორ ჩასახლდა ერთი ინდოელი ბავშვის სხეულში სხვა ადამიანის სული. ეს ფაქტი დეტალურად აქვს აღწერილი ცნობილ ამერიკელ მკვლევარს იან სტივენსონს წიგნში, რომელსაც ეწოდება „რეინკარნაციის 20 შემთხვევა“. გთავაზობთ ნაწყვეტს ამ წიგნიდან:

1921 წელს ერთ ინდურ ოჯახში, რომელიც ღულამის გვარს ატარებდა, დაიბადა ბიჭი და მას ბიშენ ჩანდა დაარქვეს სახელად. დაახლოებით წლინახევრის ასაკში იგი რატომღაც ქალაქ ფილბხიტით დაინტერესდა, რომელიც მისი მშობლიური ქალაქიდან, ბარეილიდან, 50 მილის მანძილზე მდებარეობდა. ქალაქ ფილბხიტში არც მის მშობლებს და არც ნათესავებს არანაირი ნაცნობი არ ჰყავდათ, ამიტომაც ნავშვის ინტერესი ამ ქალაქისადმი არავითარ ლოგიკას არ ექვემდებარებოდა. გარკვეული ხნის შემდეგ ბავშვმა დაიწყო თხრობა იმის შესახებ, თუ ვინ იყო იგი წინა სიცოცხლეში, 1926 წელს კი მან თავისი ადრინდელი სახელი – ლაქშმი ნარაინი – „გაიხსენა“. თავისი მშობლების გასაკვირად, იგი ამტკიცებდა, რომ მდიდარი მიწათმფლობელის შვილი იყო და იმ სახლსაც კი აღწერდა, სადაც, მისი მტკიცებით, ადრე ცხოვრობდა. და საერთოდ, ბიშენი მშობლებს უამრავ თავსატეხს უჩენდა, კაპრიზულ ხასიათს ავლენდა, ყოველდღე ხორცსა და თევზს ითხოვდა და ამბობდა, რომ მისი მსახურებიც კი არ შეჭამდნენ იმას, რასაც ახლა მას აჭმევდნენ; გარდა ამისა, ითხოვდა მდიდრულ სამოსსა და ფულს.

ერთხელ უფროსმა დამ შენიშნა, თუ ბიშენი ჩუმად როგორ სვამდა ბრენდის, რომელსაც ოჯახში მხოლოდდამხოლოდ სამკურნალო მიზნებისათვის ინახავდნენ. დამ შეარცხვინა იგი ქურდობისათვის, მაგრამ პასუხად ქედმაღლური სიტყვები მოისმინა იმის შესახებ, რომ წინა სიცოცხლეში მას ბადალი არ ჰყავდა ალკოჰოლური სასმელის მოხმარებაში. გაოგნებულ დას ბიშენმა ესეც არ აკმარა და უთხრა, რომ მას საყვარლად როსკიპი ჰყავდა, რომელსაც პადმა ერქვა და ის ძალიან ლამაზი ქალი იყო. ეს პადმა მას ძალზედ ჰყვარებია და ერთხელ, როცა შეუნიშნავს, რომ ქალის ოთახიდან უცხო მამაკაცი გამოვიდა, საყვარელი საკუთარი ხელით მოუკლავს.

უცნაური ბავშვის ამბავმა ადგილობრივი ადვოკატის ყურამდე მიაღწია, რომელმაც დეტალურად ჩაიწერა ყველაფერი და დაიყოლია ბავშვის მამა, რომ ქალაქ ფილბხიტში გამგზავრებულიყვნენ. იმ ქალაქში ჩასულებს უზარმაზარმა ბრბომ შეხვედრა მოუწყო; იქ ყველა იცნობდა ნარაინების მდიდარ ოჯახსა და მათს განებივრებულ ვაჟს, რომელიც როსკიპ პადმასთან ცხოვრობდა და რვა წლის წინ გარდაიცვალა. ბრბომ ისიც იცოდა, რომ ეჭვიანობისა გამო ნარაინმა საყვარელი მოკლა. აღნიშნული ოჯახი საკმაოდ დიდი გავლენით სარგებლობდა და ეს მკვლელობა როგორღაც მიჩქმალეს, თუმცა ლაქშმის ცოდვამ მაინც უწია და მცირე ხნის შემდეგ, 32 წლის ასაკში, ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვალა.

ფილბხიტში ბავშვმა ყველა გააოცა იმით, რომ მან ლაქშმი ნარაინის ცხოვრების თვით უმცირესი ფაქტებიც კი დეტალურად იცოდა. სკოლაში მან უშეცდომოდ იპოვა თავისი საკლასო ოთახი, ამოიცნო მეზობლის სახლიც, ზუსტად დაასახელა თავისი მსახურის სახელი, აგრეთვე ის კასტა, რომელსაც იგი ეკუთვნოდა. თუმცა ყველაზე საოცარი მაინც სხვა რამ იყო: ნარაინების ოჯახში იცოდნენ, რომ ლაქშმის მამამ სიკვდილამდე თავისი განძეულის ნაწილი სადღაც დამალა. როცა უცნაურ ბავშვს ჰკითხეს, იცოდა თუ არა მან ამ განძეულის ადგილსამყოფელი, მან ერთი ოთახისაკენ მიუთითა და იქ მართლაც აღმოაჩინეს ოქროს მონეტების მთელი გროვა.

ამის შემდეგ ეჭვი აღარავის შეპარვია იმაში, რომ ლაქშმი ნარაინის სული პატარა ბიშენის სხეულში განაგრძობდა არსებობას...

*ნაწყვეტი ამოწერილია გაზეთ „ტაინაია ვლასტში“ გამოქვეყნებული პუბლიკაციდან.*

## საოცარი ამბების »ფანტაზიური« კოქტეილი

### ურჩხულები, ლეგენდები და ვარაუდები...

*კრიპტოზოოლოგია არის მეცნიერება, რომელიც გადაშენებულ არსებებს შეისწავლის. დღეს ამ მეცნიერთა კავშირი 20 ქვეყნის 890-მდე პიროვნებას მოიცავს. ლეგენდებსა და მითებზე დაყრდნობით, ეს მეცნიერები მიზანმიმართულად ეძებენ იდუმალებით მოცულ არსებებს და ცოცხალი ბუნების ამოუცნობ ფენომენებს. და ეს სენსაციათა გამოდევნება კი არა, არამედ შრომატევადი მეცნიერული მუშაობაა ჩვენი პლანეტის ბიოსფეროს შესაცნობად. მართალია, ამ საქმეში მათ ხშირად იმედთა გაცრუება უხდებათ, მაგრამ არის გარკვეული გამარჯვებებიც:*

*ავიღოთ თუნდაც გიგანტური ლოკოკინა, რომელიც თითქმის ორ კილოგრამს იწონიდა და რომლის შესახებ არსებობდა ინფორმაცია ცენტრალური აფრიკის ტომების ლეგენდებიდან. ამ ლოკოკინას ცოცხალი ეკზემპლარი სრულიად შემთხვევით იპოვეს მარსელის პორტში ჩამოტვირთულ მორებს შორის...*

*ავსტრალიის დიდი ბარიერული რიფის მარჯნის კუნძულებს შორის მეცნიერებმა ერთბაშად ეკზოტიკური თევზების 8 ახალი სახეობა დაიჭირეს, რომელთა არსებობის შესახებ წარმოდგენაც კი არავის ჰქონდა. არაბეთის-უდაბნოს ქვიშებში კი წააწყდნენ 120 სანტიმეტრიან გიგანტურ ხვლიკს, რომლის შესახებ არაბულ ლეგენდებში მრავალი ფაქტი იყო დაცული და რომელსაც მეცნიერები 15 წლის განმავლობაში დაეძებდნენ... ამ ჩამონათვალის გაგრძელება კიდევ შეიძლება, თუმცა ყველაზე საინტერესო მაინც ის არის, რომ არსებობს დოკუმენტური ფაქტები იმის შესახებ, რომ ჩვენს პლანეტაზე ნამდვილად ცხოვრობს ერთი ურჩხული:*



*ბერმუდის კუნძულების რეგიონში კრიპტოზოოლოგები მეკობრეთა იმ ლეგენდას ამოწმებდნენ, რომლის თანახმად ოკეანის ფსკერზე წარმოუდგენელი სიდიდის რვაფეხა ბინადრობს. მეცნიერებმა გააკეთეს ფოლადის ხაფანგი, შიგ გემრიელი სატყუარი ჩასვეს და წყალში ჩაუშვეს. როცა ოკეანოგრაფიული ხომალდის გემბანზე ხაფანგი ამოიტანეს, ფოლადის მავთულები მთლად დაგრეხილი დახვდათ და ამ ეშმაკური ხაფანგის ალესილ შვერილებზე შემორჩენილი იყო უცხო არსების ცოცხალი ქსოვილის, კანისა და კუნთების ნარჩენები. ანალიზმა დაადასტურა, რომ ხაფანგი გადაგრეხილი იყო მრავალხელიანი ჰერკულესის მიერ, რომელსაც შესწევს ძალა თავისი საცეცები წყალქვეშა ნავსაც კი შემოახვიოს გარს. მანამდე კი ბიოლოგები ასეთი რვაფეხას არსებობას მთვრალი მეზღვაურების გამონაგონად მიიჩნევდნენ...*

*კრიპტოზოოლოგების მთავარი კოზირი კი კომორის კუნძულებთან მობინადრე თევზი, ლატიმერია, გახლავთ. პალეონტოლოგები თვლიდნენ, რომ ეს თევზი 200 მილიონი წლის წინ გადაშენდა და თურმე ცდებოდნენ... ასე რომ, ისმის ლოგიკური კითხვა – რაკიღა უძველესმა ლატიმერიამ დღემდე შეინარჩუნა არსებობა, ხომ შეიძლება ახლა მისი თანამედროვე ურჩხულებიც ცოცხლობდნენ?*

## თანამედროვე პიკანტური სასწაული, ანუ, მამაკაცებო, გაიხადეთ ტანსაცმელი!

გაზეთ „არგუმენტი ი ფაქტის“ თანახმად, მოსკოვში გაიხსნა სტრიპტიზ-კლუბი, რომელსაც უჩვეულო სექსუალური ორიენტაცია გააჩნია... აქ შიშვლდებიან მამაკაცები (?!) და ამას ქალების დასატკბობად აკეთებენ, ანუ იმ ქალებისათვის, რომელთაც იმდენად უყვართ შიშველი მამაკაცის ცქერა, რომ მზად არიან საამისოდ დიდი თანხაც გადაიხადონ. ამ კლუბს „ნიუ რელაქსი“ ჰქვია... რელაქსირება თანამედროვე ტერმინია, რაც განტვირთვას ნიშნავს და აქ ქალბატონები „განტვირთვას“ შესვლისთანავე იწყებენ, რადგან მათ ჯარებში თითქმის დედიშობილა ბარმენები და ოფიციანტები ხვდებიან. უფრო ღრმა განტვირთვას კლიენტები განმარტოებულ კაბინებში აღწევენ, სადაც ანთია სანთელი და აქ განვითარებული სცენის „შინაარსი“ კლიენტის პირადი საქმეა. აქ საკმაოდ განსხვავებული ასაკის ქალბატონები დაიარებიან 17 წლის ზემოთ და 70 წლამდე.



სცენა კლუბის ფოიედან

როგორც გაზეთი იუწყება მოსკოველ ქალბატონებს შორის რაიმე აჟიოტაჟის მსგავსი მოვლენა არ შეინიშნება. აი, პატარა სცენა, რომელსაც გაზეთის კორესპოდენტი წააწყდა: ორმა საშუალო ასაკის ქალბატონმა ბოლომდე უცქირა იმას, თუ როგორ გაშიშვლდა მათს თვალწინ ახალგაზრდა კაცი, მერე როგორ შეეცადა ეს ემაწვილი ქალებისათვის ალკოჰოლური სასმელი დაელევინებინა და როგორ გაუცრუვდა მას ეს იმედი... ქალებმა კი მიღებული „სიამოვნებისათვის“ აკურატულად გადაიხადეს თითოეულმა 120-120 დოლარი და კლუბიდან წავიდნენ...

## საკროსვორდო გაკვეთილები

**ჩვენ გვსურს საკროსვორდო გაკვეთილების კურსი ჩავატაროთ (სრული სერიოზულობით) და არა მარტო იმისა გამო, რომ რაიმე ამბიციები გვაწუხებს; უბრალოდ გვსურს საკროსვორდო ანაბანაში გავარკვიოთ ის ხალხი, ვინც ამ „შავ—თეთრი“ უჯრედების წყალობით საარსებო მინიმუმის მიღება სურს და არკი იცის „რასა იქმს“**

### პირველი გაკვეთილი „სიმეტრიული კროსვორდი“

კროსვორდი, ფორმის მხრივ, შეიძლება სამი ტიპის არსებობდეს: სიმეტრიული, ლოგიკური და ქაოტური. შევეცდებით, ყოველი მათგანი ცალ-ცალკე განვიხილოთ.

ა) სიმეტრიული კროსვორდები

სიმეტრიული კროსვორდი თავის მხრივ სამ ტიპად იყოფა:

1. ოთხმხრივ სიმეტრიული (ანუ, როცა სიმეტრია არის როგორც ვერტიკალური, ასევე ჰორიზონტალური ხაზის მიმართ);
2. ორმხრივ სიმეტრიული (ანუ, როცა სიმეტრია ან ჰორიზონტალური, ან ვერტიკალური ხაზის მიმართაა დაცული)
3. დიაგონალურად სიმეტრიული.

დღეს გთავაზობთ ოთხმხრივ სიმეტრიულ კროსვორდს, რომელიც, როგორც ასეთ კროსვორდებს სჩვევია, ოპტიმალურ, ანუ 19X19 უჯრაზე, ფართს მოიცავს. საერთოდ კი უნდა ითქვას, რომ ნებისმიერი ტიპის სიმეტრიული კროსვორდი სიგანეში არ უნდა აღემატებოდეს 17 ან 23 უჯრას, რადგან მის ზემოთ სიმეტრია პრაქტიკულად არ აღიქმება (ამის დასტურად შეგიძლიათ იხილოთ მე-4 გვერდზე მოთავსებული ორმხრივ სიმეტრიული სუპერკროსვორდი, სადაც სიმეტრია ვერტიკალური ხაზის მიმართაა დაცული, მაგრამ მისი შემჩნევა თითქმის შეუძლებელია თავისი სიდიდისა გამო).

ოთხმხრივ სიმეტრიული კროსვორდის შედგენა დიდ სირთულეებთანაა დაკავშირებული და ეს იმ ლექსს ჰგავს, სადაც ერთი და იგივე რითმა მთელი ნაწარმოების მანძილზე უნდა შეინარჩუნო, რაც გარკვეულად ზღუდავს ავტორის შინაარსობლივ პოტენციალს; ეს მით უმეტეს ძნელია ქართულ კროსვორდში, ჩვენი ენის იმ სპეციფიურობისა გამო, რომ ყოველი სიტყვა ხმოვანზე უნდა დასრულდეს, ამიტომაცაა, რომ სიმეტრიულ კროსვორდებში ხშირია ერთგვარი ლექსიკური ერთეულების განმეორება. მიუხედავად ამისა, ოთხმხრივ სიმეტრიული კროსვორდი, მაინც მშვენიერი ქმნილებაა ისევე, როგორც უკვე ხსენებული ერთრითმიანი პოეტური ნაწარმოები. აქვე აღვნიშნავთ, რომ სიმეტრიულ კროსვორდში პრაქტიკულად გამორიცხულია ორასოიანი სიტყვების არსებობა და საერთოდ, ჩვენი ენის იმავე სპეციფიურობისა გამო, ორასოიანი სიტყვების ხმარება, გარდა სკანდინავიური კროსვორდებისა, საერთოდ დაუშვებელია.



**თარაზულად: 3.** იგივეა, რაც წოდება; **5.** ცნობილი რუსი მფრინავი-კოსმონავტი; **9.** ქალაქი ურალის ჩრდილოეთით; **10.** ოცი ერთეულისაგან შემდგარი ფული; **11.** ნახევარი დოლი; **13.** პატარა ბავშვი; **14.** მუსიკალური ნაწარმოების ძირითადი ნაწილი; **15.** საზოგადოების უუფლებო წევრი; **18.** უშფოთველი ყოფა; **20.** ცხენების სადგომი; **22.** გველის სახეობა; **24.** ამაღლებული ადგილი ეკლესიაში; **25.** კბილების აკუსტიკური თვისება; **29.** ბავშვის საწოლი; **30.** ყირიმის კურორტი; **31.** ევროპელ მეფეთა მემკვიდრე; **32.** სარევიზიო დოკუმენტი; **34.** ხორცთან მისაყოლებელი კარტოფილი, მაკარონი ან სხვა რამ; **37.** თხების ჯოგი; **41.** სწრაფმავალი ცხენი; **42.** კულინარული ნაწარმი; **43.** მწვანილის სახეობა; **44.** როგორი სისხლი ჰქონდათ ფაშისტებს (თავისივე რწმენით)? **45.** იგივეა, რაც უშნო, უქნარა.

**შვეულად: 1.** იგივეა, რაც მბრწყინავი; **2.** სიძველეთა საცავი; **3.** მყარი საწვავი; **4.** სამი კაცისაგან შემდგარი გუნდი; **6.** აფრიკის სახელმწიფო; **7.** პერსონაჟი კინოფილმისა „განგაში“; **8.** თბილისის „დინამოს“ ოსი ეროვნების ფეხბურთელი წარსულში; **9.** საბჭოთა ავტომობილი; **12.** დაახლოებით იგივა, რაც ქინი; **16.** ტერიტორია აფრიკის სამხრეთ დასავლეთ ნაწილში; **17.** მოზრდილი ნავი ტვირთის გადასატანად; **19.** გასანათებელი საშუალება; **20.** წყლის ძველებური ჭურჭელი; **21.** რძეში მოხარშული ცომი; **23.** ტყუილი ამბავი ჟარგონულად; **26.** სადემონსტრაციო ზეწარი; **27.** უძრავო თვითმფრინავი; **28.** საფეხბურთო ამპლუა; **33.** იგივეა, რაც მშვენიერი; **35.** ძროხის ბარკლის ქვედა ნაწილი; **36.** ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული; **38.** სპორტული ასპარეზი; **39.** შინაური ფრინველი; **40.** დოკუმენტის სახესხვაობა.

## კომუნისტობისდროინდელი ამოცანები

*ბოსტნეულის ბაზაზე 6 ვაგონი კარტოფილი ჩამოტვირთეს; პირველ, მეორე და მესამე ვაგონში ერთად სულ 120 ტონა იყო. მეოთხე ვაგონში 2 ტონით ნაკლები, ვიდრე პირველ ვაგონში; მეხუთე ვაგონში 3 ტონით ნაკლები, ვიდრე მეორეში; მეექვსეში 5 ტონით ნაკლები, ვიდრე მესამეში. სულ რამდენი ტონა კარტოფილი იყო ექვსივე ვაგონში? (იმპერიალისტების გულის გასახეთქად)*

*ერთმა კოლმეურნეობამ თავისსავე პიონერულ ბანაკს რამოდენიმე კილოგრამი (ნარჩევი) მარწყვი გაუგზავნა. შეფ-პოვარმა (პატიოსნად, ისე, რომ თავისთვის არაფერი „მოუტეხია“ — „ფანტ“. რედ.) პიონერებს ამ მარწყვის ნახევარი სადილზე გაუნაწილა დესერტის (ჩაროზის) სახით: ამ მარწყვის ერთი მეოთხედი კომპოტისათვის გამოიყენეს (შაქარი არ დანანებიათ — „ფანტ“. რედ.). ერთი მეექვსედი ნაწილი გადაეცა საბავშვო ბაღის სამზარეულოს, დარჩენილი სამი კილოგრამი კი, ბანაკის უფროსის წინადადებით, პიონერთა საფეხბურთო გუნდს გადაეცა, როგორც პრემია ტურნირში გამარჯვებისათვის. სულ რამდენი კილოგრამი მარწყვი გამოგზავნეს (კეთილმა!) კოლმეურნეებმა თავისივე კოლმეურნეობის პიონერებისათვის?*

# ციტატებიანი კროსვორდი

**თარაზულად: 4**. „...... მყავდა პოვარი, დამირჩა გასათხოვარი." (ქალაქური ფოლკლორი); **7**. „.... კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს"(ტატო); **10**. „....... სიცოცხლე შენი ჰგავს აპრილის რტოს" (ავთანდილი შარვაძე); **12**. „მოწურვილ იყო ზაფხული, ქვეყნად ამოსვლა ......" (შოთა); **13**. „თქვი, არჯაკელო ......, ქსანზე ვინ ჩამოიარა?" (ანა კალანდაძე); **14**. „დღეს ბატონი კახა ........ შს სამინისტროს კოლეგიაზე სიტყვით გამოვიდა" (შს სამინისტროს პრეს-სამსახური); **15**. რამდენიმე ...... პირად საკითხებზე"(ლანა ღოღობერიძე); **16**. „საქართველოს ....... და ალაგო, გამარჯვება ჩემო თბილის-ქალაქო" (ოთხი გია); **17**. „ურიელა წყალი, ურიელა შეშა, ურიელა რა ჯანდაბამ ........." (გურული ფოლკლორი); **21**. „........ რომანი" (ინკასატორი – იპოლიტე ხვიჩია); **22**. „......... წვა ვით კლდისა ნაპრალსა ვეფხი პირ-გამეხებული" (შოთა) **23**. „საყვარლის საფლავს ვეძებდი, ........... ვნახე, დაკარგულიყო" (აკაკი); **24**. „ევგენი .........." ა.ს. პუშკინის მარად უკვდავი პოეტური რომანია (აბიტურიენტის თხზულებიდან); **26**. „............ შენი შავი ჩოხა, ............ – ო" (ხალხური); **28**. „აუზში ერთი მილით ასი ........ ჩადის, მეორეთი ორასი ....... გამოიანგარიშეთ და ა.შ." (არითმეტიკის სახელმძღვანელო); **29**. „რა არის ყველაზე ........ ? – ფაფის ჭამა!" (ყოფითი აფორიზმი); **30**. „....... ტანსა კაბა ემოსა გარე-თმა ვეფხის ტყავისა" (შოთა); **31**. „იგრიკა, ვარდობისთვე, თიბათვე .........." (ძველი კალენდარი); **33**. „....... ყოფილა თურმე სიბერე, გულო გაუძელ ტკივილს" (ბუბა კიკაბიძე); **34**. „თამარმა ......... ავადმყოფ რუსთან გაიზიარა" (ისტორიული ქრონიკა); **37**. „.......... ერთადერთი ხარ ჩემი ღმერთი, ლოცვად მინდიხარ, საით მიდიხარ" („ოროველა"); **39**. „ომში წასვლა მას ............ , ვისაც კარგი ცხენი ჰყავსო" (ხალხური); **41**. „.......... მიჭირავს შენზედა, როგორც მიმინოს მწყერზედა" (ზურაბ ქაფიანიძე); **44**. „ხესაც მოვჭრი, ხის ძირსაცა, შენც შეგჭამ და შენს ..........." (ხალხური); **46**. „.......... თეთრი ბუმბული ველად გაჰქონდა ნიავსა" (ხალხური); **47**. „......... ააგდო და თავი შეუშვირა" (ხატოვანი ნათქვამი); **48**. „ისევ მიდიხარ, ისევ მშორდები, ისევ ეშვება .........." (მედეა ძიძიგური); **49**. „მე ....... ასე ბევრი რამ მინდა, მე ....... მსურდა ყველაზე ბევრი; ღიმილი მინდა" და ა.შ. (თემურ წიკლაური); **50**. „თუ ასე ტურფა იყავი, რად ვერ გამჩნევდი ......." (ჰამლეტ გონაშვილი); **52**. „ორად ორი მეგობარი, ორი ........ ვართ" („ივერია"); **53**. „.......... დამწყები მსახიობი გოგონასათვის" (თამაზ ჭილაძე); **56**. „მეფე .......... აქემენიდების დინასტიის დამაარსებელია" (ისტორიის სახელმძღვანელო); **57**. „სომხეთში მიწისვრამ დაანგრია ქალაქები: ლენინაკანი, კიროვაკანი და ........." (ოფიციალური ქრონიკა); **58**. „.........-მინდი, ფერად შინდი ბაგე გქონია" (რეზიკოს სიმღერა); **59**. „ცამეტი ლუდოვიკო კედლიდან იყურება, .......... ეფერება ლუი მეთოთხმეტე" („საბა"); **60**. „ალიენდე, ალიენდე, კომუნისტებს რატომ .........?" (70-იანი წლების ანტიკომუნისტური შაირი).

**შვეულად: 1**. „............ დღე კი დამელევა მე, უცხოობაში რაა სიამე?" („ბედი ქართლისა") **2**. „............ მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა" (აღარაკრძალული სიტყვები); **3**. „....... გულდამწვარი ქვეყნად ვინლა არ ყოფილა, მაგრამ საქმრომ განა სატრფოს თხილის გული ამყოფინა?!" (ზაზა ლებანიძე – დარინდა); **4**. „კოტეს როლი შეასრულა ბატონმა ....... კრავეიშვილმა" (ქართული კინოს ისტორიიდან); **5**. 1953 წლის 26 ივნისს საბჭოთა ხალხმა იმპერიალიზმის მორიგი აგენტი, ლავრენტი ........ ამხილა" (ოფიციალური ქრონიკა); **6**. „სიყვარულმა ჩემი გული დაკოდა და დალარა და ამქვეყნად არსებობა აღარ მინდა, ......." (უცნობი „დამწვარი" ავტორი); **7**. „....... კარგი რა უნდა იყოს?! – კაცს თაფლი მისცე და ღმერთს სანთელი!" (ბატონი ოთარი); **8**. ზაფხულია, ......., ......., ბუღი ასდის ქალაქს!" (...მერე დედიკომ დალაქს რომ წაუყვანა ბიჭი); **9**. „კაცი ............ ქვევრია, რომელსაც დღეში სამჯერ უნდა აჭამო" (ღრმადღაბაბოსანი ლუარსაბ თათქარიძე); **10**. „ვაჰ, ......., ......., ნაგემნი მტკბარად, წავიდნენ გაჰქრნენ სიზმრებრივ ჩქარად!" (ალ.ჭავჭავაძე); **11**. „რაც მტრობას დაუნგრევია, ....... უშენებია (მრავალჟამიერი); **17**. „სითის" გულშემატკივართა თქმით, „......" ჯიგარი ბიჭია („სარბიელის" სტილიზებული პერიფრაზი); **18**. „ქუდი ...... დაგიხურავს, ამპარტავანსა გევხარო (გარეკახური სიმღერა); **19**. „შეიდი მაყარი ჩამოჰყვა, ....... ცხენოსნიანი" (კ/ფ „ხევისბერი გოჩა); **20**. „ვაზო, ......... ნაზარდო" (მეველნახის ლექსი); **23**. „თუ არ ჭამე ......, მიგტყეპავენ, ვერ გიშველი" (აკაკი); **25**. „ტურფავ, ტურფავ, რას ......., მოაცურე ჩემსკენ ნავი" (ჰაინრიხ ჰაინე); **26**. „გამოღმით მე ვარ, გაღმით – შენ, ...... ჩამოდის მდინარე" (ვაჟა); **27**. „......... და ......... ნამგალო, ნამგალო, ჩემო რკინაო" (ხალხური); **32**. „ავსა კაცსა ...... სიტყვა ურჩევნია სულსა; გულსა" (შოთა); **35**. „........ მოვიტან, ცუნცულასა, ხელეჩოსა, წალდუნასა" (საწყალი ჩიტი! –*რედ.* ანუ Птичку жалко!); **36**. „მართლაც კაცი ხარ კაცური, გიყვარს ტუჩების ........." (სადღაც გაგონილი ლექსი); **38**. „1972 წელს ალექსანდრე მეტრეველმა დევისის თასის გათამაშებაში, თბილისში (სამწუხაროდ – *რედ.*), ვერ დაამარცხა რუმინელი ილიე ......" (სპორტული ქრონიკა); **40**. „გასრულდა ესე ......., ვითა სიზმარი ღამისა" (შოთა); **42**. „შუბლზე ვისაც რა აწერია, ვერსად გაექცევა" (ყოფითი გამონათქვამი); **43**. „........-ბიწილო, შრომანო-გვრიტილო" (საბავშვო გათვლა); **44**. „ხმა ამაიღე ფანდურო, ამომავალი მზისთვინა, ..... უნდა გამოვთქვა პირიმზე ლამაზისთვინა" (ზურაბ ქაფიანიძე); **45**. „მე ბრიყვო, აქ როგორა სვამ წყალსაო, რომ აღარ დასდევ კანონებს და ....... სამართალსაო?" („მგელი და კრავი"); **47**. „თუ გული გულობს, ......... ორი ხელით იჭმევა" (ანდაზა); **51**. „........ ვერონელი აზნაური" (შექსპირის კომედია); **54**. „და დღეიდან ჩვენ ........ შუა მოციქული არის ტყვია" (ბათუ-აფხაზი); **55**. „......, რა, ........ რა, ესეც ....... რა სიმღერა" (ნუგზარ ერგემლიძე).

**P.S.** *შეცდომებისაგან დაზღვეულნი არ ვართ*



# სკანდინავიური კროსვორდი



## გასული ნომრის პასუხები

(სატრფიალო კროსვორდი) <u>*თარაზულად*</u>: 11.ვნება. 12. ფრეინდლიხი. 14.ავთანდილი. 17.სიურპრიზი. 18.ისტორიკოსი. 19.კაცური. 21.დუმილი. 22.ნიმფომანია. 24.დინოზავრი. 25.სისპეტაკე. 27.ნესტანი. 28.ლიტისია. 33.კურიოზი. 35.კუკარაჩა. 36.ფრონტი. 38.ენა. 46.კუზიანი. 47.მტრები. 48.ელიზა. 49.ფანტაზია. 52.აკორდეონი. 55.კოტე. 56.გორგონა. 57.ვაკანსია. 58.უნიათი. 60.იერუსალიმი. 62.პაუზა. 63.სინაზე. 64.როინიშვილი. 66.ერწო. 69.რომანსი. 71.ბინოკლი. 72.გურამიშვილი. 75.ალმაცერი. 77.კოისდარი. 78.ქნარი. 79.ქმარი. 84.მატრაკვეცა. 85.სკანდინავია 87.პატრონი. 90.ავოკადო. 91.უნამუსო. 92.პრობლემა. 93.ბახალა. <u>*შვეულად*</u>: 1.ინტიმური. 2.აბორტი. გრუზინსკი. 4.სია. 5.ქირომანტია. 6.ჩინი. 7.მანონ. 9. ცინცხალი. 10.ფბურერი. 13.დისკოთეკა. 15.თბილისი. 16.არტისტიზმი. 20.ძმა. 23.იანვარი. 26.პლისეცკაია. 29.ინტერესი. 30.ტურფა. 31.იფი. 32.ანონიმი. 34.უსიყვარულოდ. 37.ოსკარი. 39.იუნონა. 40.ლიცენზია. 41.ანაგა. 42.ატრომანი. 43.დეკამერონი. 44.ნაბიჭვარი. 45.ფეოლა. 50.ნინო. 51.აკადემია. 53.ორგია. 54.პირწავარდნილი. 59.ოხერი. 61.ალიმენტი. 66.იაგო. 67.ესმერალდა. 68.აშარი. 70.ობლომოვი. 73.სიძვა. 74.ბრუნო. 76.არაკი. 77.კოცონი. 80.მარეხი. 81.ჩიორა. 82.ბარბი. 83.გარბო. 86.კესო. 88.ემე. 89.კაი.

(ციტატებიანი კროსვორდი) <u>*თარაზულად*</u>: 4.საქართველოო. 10.ვის. 12.გუდურა. 13.ქრის. 14.დღეო. 15.თათარი. 16.ერი. 17.მოიარა. 18.ჩამოასხით. 21.მყავდა. 22.სწორო. 24.იხარე. 25.ნეტავი. 26.გაპკვეთს. 27.ლალე. 28.არწივი. 31.დროს. 32.რაინდი. 33.სიძვა. 35.სათამაშო. 37.მელოცა. 38.უბატონოდ. 40.ბიატლონი. 42.შეხვედრა. 43.ვინ. 44.ამაღამ. 45.აბლი. 46.ფლირტი. 47.საბრალონი. 48.კოსტა. <u>*შვეულად*</u>: 1.გულობს. 2.გულამოსკვნილი. 3.ყარაჩოღელი. 4.სადამდის. 5.ქვეყანა. 6.თეთრი. 7.ერთო. 8.ოქროყანა. 9.ორი. 10.ესევდიანობ. 11.სდის. 19. ხმელი. 20.თბილისო. 23.ძგერა. 28.აფთიაქარი. 29.წამალს. 30.ეძებნე. 31.დამტეველო. 34.დადიანის. 35.საბრალო. 36.შენებას. 37.მადინა. 39.ნოდარი. 41.ტაია. 42.შინა.

(185 კითხვა) <u>*თარაზულად*</u>: 1.სვეტივხოველი. 7.მოლეკულა. 12.ინტერნაციონალიზმი. 13.ნიკე. 14.ტინიანოვი. 15.ტრეპანაცია. 16.ჩლიქი. 17.ნანადირევი. 20.აგიტაცია. 25.ჯილა. 27.აბასი. 28.ურა. 29.კინოფესტივალი. 32.შევალიე. 33.ფონეტიკა. 34.იგნორირება. 35.ირაო. 36.უდაბნო. 39.კლეი. 40.აჯაფსანდალი. 44.ფიზიკა. 46.ნუარე. 47.ერმაკი. 49.რიეკა. 50.სირინოზი. 52.ვირი. 54.დიაკვანი. 55.ჯიბე. 56.ნიაღვარი. 58.შვარცენეგერი. 60.უსტაბაში. 62.ნუში. 63.ავტორი. 64.პიცა. 65.ირიგაცია. 67.უატი. 69.ალბანეთი. 72.ტეტია. 74.შლიმანი. 77.ბარბაროსა. 78.თაიმსი. 80.ფიბრომა. 81.ცოფი. 82.სცენარი. 83.ჯაზი. 84. ტარხუნა. 86.აგნი. 87.ჩოლოყაშვილი. 92.ფრონტი. 94.პიკირება. 98.მეკარე. 99. არაბი. 100. ზეგავლენა. 102.ჩადრი. 103.პარაბოლა. 106. ელიავა. 107.ფიდელიო. 108. ვოლონტიორი. 109. ფიდიასი. 113. რენო. 114. ჩიყვი. 115. მილტონი. 118. ამური. 119. ნონა. 122. ადამიანი. 123. ინსინუაცია. 126. ხუტორი. 127. აპნისი. 128. სანტიაგო. 132. ლინგვისტიკა. 137. კონტრაბასი. 138. ნალია. 139. სტადიონი. 142. კინემატიკა. 143. მატლი. 144. ინდივიდი. 145. კარელია. 147. ზურნა. 148. პუერტო-რიკო. 152. ანგიომა. 155. სიბერე. 158. სარჩელი. 159. კრაკოვი. 160. მაუგლი. 161. ოქმი. 163. დაფნია. 164. ტრილიონი. 166. ლუკა. 167. ამირსპასალარი. 169. ვერდიქტი. 170. აალტონენი. 171. ელიტა. <u>*შვეულად*</u>: 1. სვიფტი. 2. ესტონეთი. 3. იორდანია. 4. ხლაფორთი. 5. ვოინიჩი. 6. ლუნატიკი. 7. მაზდეანობა. 8. ლაიზა. 9. კენტავრი. 10. ლეკვი. 11. პლატინა. 18. დოსიე. 19. ვერნისაჟი. 21. გრიბოედოვი. 22. ტროლეიბუსი. 23. ცხენი. 24. აუტსაიდერი. 25. ჯავშანი. 26. ლოლობრიჯიდა. 30. ლაზი. 31. სარაფანი. 32. შაბიამანი. 37. ოკლაჰომა. 38. ადლერი. 41. ლიბერია. 42. ყარყარაშვილი. 43. გრაპენტინი. 44. ფასანაური. 45. ზოროასტრიზმი. 48. კლაპეირონი. 51. იდიში. 52. ვიდეო. 53. რიშელიე. 57. ვიბრაცია. 59. ინაუგურაცია. 61. შრიფტი. 66. მთვარე. 68. ტაქსოფონი. 69. ატრაქციონი. 70. ბადმინტონი. 71. ემაფოტი. 73. ობობა. 75. მარიხუანა. 76. ნომინაცია. 79. იორდანე. 85. სვლა. 88. ლემი. 89. გრეხა. 90. შანდალი. 91. მერინოსი. 93. ტრიბუნი. 94. პიზა. 95. კეგელი. 96. რევმატიზმი. 97. ბრეტანი. 101. ანფასი. 102. ჩადი. 103. პავაროტი. 104. რულონი. 105. ლუიზიანა. 106. ერევანი. 110. ამიაკი. 111. ილიადა. 112. ლოსიონი. 116. ივნისი. 117. ყანწი. 120. ოცეოლა.121. აახენი. 124. ნიაზოვი. 125. კორიდა. 129. ტოტლებენი. 130. არადანი. 131. ჩიპოლინო. 133. ისაკაძე. 134. ანიმიზმი. 135. პლუტარქე. 136. კამიკაძე. 140. ტანგო. 141. დვირი. 142. კუკია. 146. აპასიონატა. 149. რეჩხი. 150. რკინა. 151. კალენდარი. 153. გრავიურა. 154. ოპოზიცია. 155. სიმამაცე. 156. ბრუკლინი. 157. რელიკვია. 162. ქიმია. 164. ტივი. 165. ოსლო. 168. ავე.

## ლოგიკური ამოცანა

ტურნირის ჩემპიონი გახდა იურისტი წიტაიშვილი, რომელმაც 4 ქულა მოაგროვა; მეორე ადგილზეა მჭედელი წიბახაშვილი 3 ქულით, მესამე – მასწავლებელი წაქაძე (2,5 ქულა), მეოთხე და მეხუთე ადგილები გაინაწილეს მძღოლმა წამალაიძემ და მწერალმა წეროძემ (2-2 ქულა); ბოლო ადგილზე კი ხარატი წივწივაძე აღმოჩნდა 1,5 ქულით.

# გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას!



## თარაზულად:

**1.** (სამწუხაროდ) არაიშვიათი მიმართვა მასწავლებლისა თავხედი მოსწავლისადმი (წოდ.ბრ.); **7.** რა ერქვა კომუნისტობისას გიმნაზია-ლიცეუმებს? **12.** რა უტარდებათ სკოლებს ზაფხულობით? **16.** თუ იცით (ინფორმატიკიდან) რა ჰქვია მონიტორზე „მორბენალ“ ნიშანს? **17.** ევროპის სახელმწიფოს დედაქალაქი; **18.** ქვემ-ქვემა, ინტრიგანი, გაიძვერა... კიდევ? **19.** რა შეიძლება დასდოს მასწავლებელმა მოსწავლეს (შეიძლება-მეთქი), თუნდაც ჩვენს სკოლაში?




**21.** (გრამატიკა) გამაძლიერებელი დამხმარე ნაწილაკი; **23.** ჯამის მაниშნებელი ბერძნული ასო მათემატიკაში; **24.** „შენი ჭირიმე“-ს რაჭული წინსართი; **26.** სასკოლო ნიშანი; **30.** დროის ექვსგაკვეთილიანი მონაკვეთი; **31.** (ლიტერატურა, „გაყრა“) ქართველი – მიკირტუმ გასპარიჩ ტრდატოვის თანახმად; **32.** ნანახი ან გაგონილი მოვლენა; **33.** (მითოლოგია) ცისარტყელას ბერძნული ღვთაება. **35.** რა აქვთ მოსწავლე-სტუდენტებს წლის ბოლოს, გამოცდებისას? **37.** რა ჰქვია წლის ბოლოს ჩატარებულ ღონისძიებას უმაღლეს სასწავლებელში? **39.** ქართული გრამატიკის პატრიარქი (კაიფვორდების პატრიარქის მოგვარე); **41.** რა იწერება ხოლმე ნიშნის გვერდით სისუსტის აღსანიშნავად? **44.** სასკოლო დისციპლინა; **47.** ვის შეიძლება გაანდო საიდუმლო (მიც.ბრ.); **48.** რა შეიძლება გააწნას გოგომ ბიჭს, მასწავლებელმა კი მოსწავლეს უთავაზოს (შეიძლება-მეთქი)? **49.** რას აჭიანურებს ხოლმე მოსწავლე გაკვეთილის არცოდნისას? **51.** წუთისოფლის „შემადგენელი“ ნაწილი; **52.** რა უნდა ჩაიწყვიტოს მოსწავლემ გაკვეთილის ახსნისას? **53.** რა უცხოური სიტყვა მოუგონეს ცოდნის შემოწმებას ერთობ „ნოვატორმა“ პედაგოგებმა? **54.** მოსწავლისათვის არასასიამოვნო რიცხვი; **55.** ვინ შეიძლება დაიბარონ სკოლაში ექს- ტრემალურ ვითარებაში? **57.** მოსწავლის პასუხი სიის ამოკითხვისას; **58.** (გეოგრაფია) რომელი რეგიონი უნდა შეისწავლოს ყველაზე კარგად მომავალმა ქართველმა შოპ-ტურისტმა? **63.** რა ახალი (თან ძველი) სახელი დაერქვათ სტუდენტებს? **64.** რა აკლია ცას (ერთი ხატოვანი გამონათქვამის თანახმად)? **65.** „რას ვერ მიმასწავლიო“ – რა ჰკითხა წრუწუნამ თხუნელას (მიც.ბრ.)? **67.** მჭევრმეტყველების სასწავლო დისციპლინა; **71.** ბოსტნეული – უშნო ფიზკულტურელის დასახასიათებლად; **72.** როგორი „წარმატების მქონენი“ დადიან ხშირად „მატალოზე“ (მოძველებული შეხედულება); **76.** (ლექსი) „იზარდე, მწვანე ჯეჯილო, დაპურდი, გახდი ყანაო, ........ (რა ქნას?) იმის მარჯვენამ, ვინც გთესა, მოგიყვანაო“. **77.** რა უნდა ისწავლოს სტომატოლოგმა კარგად? **79.** სკოლის დერეფნებში ნელი სიარულის სახესხვაობა. **81.** უვიცი, გაუნათლებელი... კიდევ? **82.** ანდერსენისეული ბიჭუნა, თოვლის დედოფალმა რომ გაათავხედა; **83.** „ძალიან“ მილიონერი, ანუ? **84.** ფიზკულტურის მასწავლებლის დამხმარე სიტყვა; **86.** (გეოგრ.) აშშ-ს შტატი; **87.** (სპორტი და ლიტერატურა) რუსი ძალოსანი და მწერალი; **89.** რუსი ბავშვების დამშინებელი ზღაპრული პერსონაჟი; **90.** „რაზე“ გასვლის დრო აქვს ბევრ მასწავლებელს, მაგრამ არ გადის (ბავშვების სიყვარულის გამო!); **91.** „შეხედე, რა ცაა, ესაა .......“; **93.** ქალაქის რა ნაწილი ურჩევნია ზოგ მოსწავლეს გაკვეთილზე ჯდომას? **96.** „ჭრელის“ სინონიმი; **98.** ძალადობრივი მმართველობა (ჩვენი სკოლა ღმერთმა დაიფაროს მისგან!); **100.** თანმხლები პირები; **101.** (გეომეტრია) წახნაგების საზღვარი; **102.** (ისტორია) თურქეთში დარჩენილი ქართული ტაძარი; **103.** თუ კარგად ისწავლით, შეიძლება სადმე იტალიაში „ეს“ (რა?) აგარაკიც აიშენოთ". („ახალი“ მასწავლებლის აფორიზმი); **104.** (ფიზიკა) მუშაობის ერთეული; **106.** უარყოფითი ნაწილაკი; **109.** ქალაქი-მუზეუმი სირიაში; **111.** ძველებური საზომი ერთეული; **113.** რა აკლია „რობ“–ს (ვალტერ სკოტის რომანი); **115.** დაშინების სიტყვიერი ფორმა; **116.** (ისტორია) ძვ. ეგვიპტური ცივილიზაციის „სველი აკვანი“; **117.** უბედურების საზღვაო ნიშანი; **119.** „სახე“ თანამედროვე ჟარგონზე; **120.** რა აკლია ზღვას (ერთი ხატოვანი გამონათქვამის თანახმად)? **121.** რა არ სიამოვნებს ადამიანს საკუთარი თავის მიმართ? **122.** „ახლა“ – დიალექტური ფორმა; **123.** (გეოგრ.) რა აღმოაჩინეს 1492 წელს? **125.** (ისევ გეოგრ.) წყნარი ოკეანის ეგზოტიკური კუნძული; **130.** (ინგლ.) თარგმნეთ სიტყვა „მუდამ“ „კოკა-კოლას“ ენაზე! **132.** როგორი ღამე შეიძლება არსებობდეს, ნოდარ დუმბაძის თანახმად? **134.** რა გვარია იპოლიტის როლის შემსრულებელი მსახიობი? **135.** რა უნდა იყოს „გაღმა-გამოღმა“, იმისათვის, რომ ქეიფი გაიმართოს? **136.** იაპონური სალექსო ფორმა (პასუხი მომავალ ნომერში იქნება); **137.** ძველი ქართული ანბანის ასო; **138.** (ბიოლოგია) კისრის შემადგენელი ნაწილი; **139.** განვითარების მონაკვეთი. **141.** ჩვენთვის ყველაზე ცნობილი არაბი მეფე; **143.** რაზე ხტის კვიცი? **144.** კარგი სასეირნო ადგილი; **146.** თბილისის „საცხოვრებელი მასივი“ XII საუკუნეში; **149.** „სიმინდის კაბების რაოდენობა; **151.** ხმის სახესხვაობა; **152.** მამაკაცის სპეციფიური პოლონური სახელი (კროსვორდის სიმეტრიამ მოითხოვა); **153.** რა არის „ბედის მონახევრე“? **155.** ცნობილი დანიელი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი; **156.** რა შეიძლება არსებობდეს მდინარის ნაპირზე? **160.** იმპროვიზირებული საწყალოსნო ტრანსპორტი; **161.** იგივეა, რაც ნაკლი; **162.** სასაპალნე ცხოველის თმოვანი საფარი; **165.** ოცდამეცამეტე ქართული; **167.** დღეღამის მონაკვეთი; **168.** რამდენი წელი სწავლობდნენ ადრე სკოლაში? **169.** ამა თუ იმ ენის დიალექტის ნაწილი; **170.** (მისტერ) ჩარლზი, უსინათლო მომღერალი; **171.** თუ კარგად ისწავლით, „ეს“ (ვინ?) უწყებრივი ლიდერი გახდებით (ძველი დარიგება); **172.** ხის ნორჩი გამონაზარდი; **173.** რა უნდა ეხმარებოდეს სკოლას ბავშვის აღზრდაში? ); **174.** აშშ-ს (კიდევ ერთი) შტატი.

## შვეულად:

**1.** რამდენი პრობლემა აქვს განათლების სისტემას? **2.** ძვირფასი და ძველი ნივთი; **3.** რა ემართება ხოლმე სკოლამდელ ბავშვს კბილთან მიმართებაში? **4.** რუსეთის მდინარე; **5.** რა ისმის ხოლმე სკოლის დერეფნებში (ღმერთმა არ მოგვაკლოს ეს „ხმა“!); **6.** (ბატონი) **თსუ-ს** რექტორი; **7.** კლასის შემადგენლობა; **8.** საცხოვრებელ-სასწავლო ფართი; **9.** როგორი შეიძლება იყოს ზოგი შინაბერა მასწავლებელი (ზოგი-მეთქი)? **10.** როგორი შეიძლება იყოს მოზარდა ბიჭი (ზოგჯერ გოგონაც) დაუმორჩილებლობის თვალსაზრისით? **11.** შენმამან რამ უნდა გამოგაჩინოს, ბატონო (თუნდაც) განათლების მუშაკო? **12.** (გრამატიკა) კითხვითი ნაცვალსახელი – რა? – ბოლოსწინა ბრუნვაში; **13.** მარად მუდამ, ყოველთვის, ... კიდევ? **14.** „სისულელე, უაზრობა...“ – ინგლისური გავრცელებული ტერმინი; **15.** რა ავტობუსი გვიყვარს საექსკურსიოდ? **22.** რამდენ წელს მოიცავს სწავლის I-II ეტაპი ახლა? **23.** რა გაუბა აკაკიმ ერთხელ ჩონგურს? **25.** ყველაზე ყველაზე პირველი „სასწავლო დაწესებულება“; **27.** რა უნდა გეჭიროს მასწავლებლისაკენ „შპარგალკის“ მოხმარებისას? **28.** როგორი ცოცხი გვის კარგად? **29.** რა სიტყვა ენაცვლებოდა ძველქართულში დღევანდელ „უნდა“-ს? **34.** ქალის (განზოგადოებული) სახელი; **35.** რა უნდა აირჩიო სწორად განათლების მიღებისას? **36.** როგორი შეიძლება აღმოჩნდეს მასწავლებლის შრომა (სამწუხაროდ)? **38.** ვის ეუბნებიან – ატამანს ნუ აუხირდებიო – კინოში (წოდ.ბრ.); **40.** არასასკოლო ჩამონათვალი; **42.** არატრადიციული წონის ერთეული; **43.** (ფიზიკა) დენის საზომი ხელსაწყო; **44.** რა უნდა იყოს „იქა“? **45.** „ნახვამდის!“ – ფრანგულად; **46.** ერთი და იგივე სიტყვის ხშირი გამეორება; **48.** ბატონი მუხრანის ცნობილი ლექსი;




**55.** ვინ იწერდა „იმ ღამეს“ ჯვარს? **56.** როგორი ბავშვი არ უყვართ თანაკლასელებს? **59.** რას უწოდებენ, აბიტურიენტულ ჟარგონზე, წერითი გამოცდისას მერხებს შორის „მიმომცურავ“ კომისიის წევრებს? (მრ.რიცხ. და მიც.ბრ.); **60.** ძველებური სასკოლო ზურგჩანთა; **61.** ბავშვის ერთ-ერთი ასაკობრივი ტიტული; **62.** რა უნდა გააჩნდეს მასწავლებელს მოსწავლეთა შორის? **64.** გოგონას სამოსი; **66.** მარცვლოვანი მცენარე; **68.** „........ ჭერო! – მოკვდი მტერო!“ **69.** რა არ უნდა დაუკრა გაკვეთილზე, თუნდაც აღგაფრთოვანოს მასწავლებლის არტისტიზმმა (...როცა კლასში დამსწრეები არიან)? **70.** (გრამატიკა) ე.წ. მიმართებითი ზმნიზედა; **73.** „ბახტრიონის“ პერსონაჟი; **74.** გადამდნარი კარაქი; **75.** რა გვარია გვადი? **78.** რა ფსევდონიმი ჰქონდა კონდრატე თათარაშვილს? **80.** რამ არ უნდა აუცრუოს მოსწავლეს გული სწავლაზე (მოთხ.ბრ.); **82.** გასართობი დაწესებულება; **85.** სასკოლო ინვენტარი; **86.** სადიდებელი სიტყვა კათოლიკურ ეკლესიაში; **88.** ზღაპრის დაწყების სიტყვა; **91.** აღმოსავლური ლექსის ფორმა, რომელსაც ომარ ხაიამი იყენებდა. **92.** (კიდევ) როგორი ხაჭაპური იცით? **94.** ზედმეტი წონა; **95.** რომელი მდინარის პირას გაიზარდა გოგლა ლეონიძე? (მიც.ბრ.) **97.** ცხადი, ანუ? **98.** რა ეწოდება პერსონაჟთა ერთობლიობას? **99.** მწყობრიდან გამოსვლა; **100.** ქართველებით „მდიდარი“ საფეხბურთო კლუბი; **101.** რა შეიძლება იყოს საკონტროლო? **105.** პოპულარული ასო მათემატიკაში; **107.** რა ამოქოლა თავისი სხეულით მატროსოვმა? **108.** როგორი გახდა ახლა სწავლება? **110.** სასკოლო დისციპლინა (საგანი); **112.** საცეკვაო-გასართობი დაწესებულება; **114.** რა კეთდება ბროწეულის წვენით „შერეკილებში“? **118.** ინტრიგა, ხრიკი, ანუ? **121.** კომუნისტობის ეპოქის უფროსკლასელთა (ნათელი მომავლისაკენ!) „დამრაზმავი“ ორგანიზაცია; **124.** რა პოეტური ხერხია ეს: „კარვის კალთა ჩახლართული ჩავჭერ, ჩავაკარაბაკე“? **125.** საცხოვრებელი შენობა; **126.** რა არ უნდა „მოგვიშალოს ღმერთმა“ რუსთაველის პროსპექტზე (ლადო ასათიანი); **127.** შენობის ხმოვანი თავისებურება; **128.** ფიზიკის შემადგენელი ნაწილი; **129.** მარცვლეული კულტურა; **131.** თივის ფორმა; **133.** მახლობელი აღმოსავლეთის (სირია-პალესტინა) რელიგიური შინაარსით „დატვირთული“ მდინარე; **135.** ორი ადამიანური სხეულის შეხლა-შემოხლა; **140.** საზ.კვების სისტემის „მთავარი“ პირი; **142.** საწერი ქაღალდების ერთობლიობა; **145.** იგივეა, რაც დოკუმენტი; **147.** ბევრი რა შეიძლება დაუგროვდეს გამცდენ მოსწავლეს? **148.** ილია ჭავჭავაძის გერმანელი მეგობარი, არტური; **150.** „ქამუშაძის გაჭირვების“ პერსონაჟი; **154.** ტანვარჯიშული იარაღი; **156.** ხვიარა მცენარე; **157.** რელიეფის და საზ.კვების სისტემის საერთო ცნება; **158.** კომკავშირელი გოგონა მოთხრობაში „გვადი ბიგვა“; **159.** რელიეფზე არსებული ღრმული; **162.** ახლო ნათესავი; **163.** „ნახვამდის!“ – იტალიურად; **164.** ხორბლის თავთავთა კონა; **166.** დროის გეოლოგიური მონაკვეთი.

### ანეკდოტები

– „აბა, მიხო, შეადგინე წინადადება დამატებით“.
– „მე ვჭამ კატლეტს!“
– „დამატება სადღაა?!“
– „ტყემლით!“

☺ ☺ ☺

მიმდინარეობს გაკვეთილი, რომელსაც კომისია ესწრება; მასწავლებელმა წინასწარ დაარიგა ბავშვები – ხელი ყველამ აიწიეთო, ვინც იცის და ვინც არ იცისო, ოღონდ – ვინც იცის გამართული თითები ეჭიროს და ვინც არ იცის, ოდნავ მოკაკულიო. გაკვეთილის მსვლელობისას აღელვებულმა მასწავლებელმა მიხო გაიყვანა დაფასთან. მიხო მოკაკული თითებით გავიდა და მასწავლებელს ჩურჩულით ეუბნება: „დაბრმავდით, მასწ?!“

კაცმა იყიდა ტელევიზორი, რადიომიმღები, ფოტოაპარატი და ელექტროსაპარსი; სულ 480 ლარი გადაიხადა. უკანასკნელი სამი ერთად 125 ლარი ღირს; ტელევიზორი, ფოტოაპარატი და ელექტროსაპარსი – 420 ლარი. რადიომიმღები და ფოტოაპარატი –100 ლარი. რა ღირს თითოეული ნივთი?

ი/ს „ფანტაზია“
რეგისტრაციის ნომერი 7/1-1811 (ისნის რაიონი)
ალექსანდრე და ვახტანგ ელერდაშვილები